ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №6647462

ნომერი: AR1985841

თარიღი : 22.08.2023

გაცემის თარიღი : 07.09.2023

გაცნობის თარიღი : 16.09.2023

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა მატროსოვის , N 7 ; ქალაქი თბილისი , გამზირი ქეთევან წამებული , N 71;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ბექა ჩიქობავა პ/ნ 01030051627
- თბილისი გ.ჩიტაიას ქ. N 35

ორგანიზაცია:
- სახლი 71 კოდი: 406320841

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2023 წლის 22 აგვისტოს №AR1985841 განცხადებით მომართა ბექა ჩიქობავამ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2022 წლის 19 მაისის №5919381 ბრძანებაში ცვლილების შეტანა.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 19 მაისის №5919381 ბრძანებით №01.17.12.005.064 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა მაღაზიის არქიტექტურული პროექტი. დღევანდელი მდგომარეობით, აღნიშნული არქიტექტურული პროექტის საფუძველზე მშენებლობის ნებართვა გაცემული არ არის.
სამსახურის 2023 წლის 15 აგვისტოს №6614830 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 19 მაისის №5919381 ბრძანებაში და ბრძანების „მიწის ნაკვეთ(ებ)ი/ობიექტ(ებ)ი“-ს ველში საპროექტო მიწის ნაკვეთის თანამესაკუთრეებად დაფიქსირდნენ შპს „მერიდიანი 2007“ (ს/ნ: 206284876) და შპს „სახლის 71“ (ს/ნ: 406320841).
წინამდებარე განცხადებით განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2022 წლის 19 მაისის №5919381 ბრძანებაში ცვლილების შეტანას სამსახურის 2023 წლის 15 აგვისტოს №6614830 ბრძანების შესაბამისად და მიწის ნაკვეთის თანამესაკუთრის შპს „მერიდიანი 2007“ (ს/ნ: 206284876) დამატებას.
როგორც ზემოთ აღინიშნა სამსახურის 2023 წლის 15 აგვისტოს №6614830 ბრძანებით უკვე გასწორდა ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2022 წლის 19 მაისის №5919381 ბრძანებაში და საპროექტო მიწის ნაკვეთის თანამესაკუთრეებად დაფიქსირდნენ შპს „მერიდიანი 2007“ (ს/ნ: 206284876) და შპს „სახლის 71“ (ს/ნ: 406320841). ამავე ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის მე-3 პუნქტში მითითებულია, რომ წინამდებარე ბრძანება განხილული უნდა იქნას სამსახურის 2022 წლის 19 მაისის №5919381 ბრძანებასთან ერთად. შესაბამისად, უნდა იხელმძღვანელოთ სამსახურის 2023 წლის 15 აგვისტოს №6614830 ბრძანებით.
სამსახური ასევე განმარტავს, რომ საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის მიხედვით, მშენებლობის ნებართვის გაცემის ბოლო სტადიაზე მშენებლობის ნებართვის მაძიებელი/მშენებლობის ნებართვის მფლობელი შეიძლება იყოს მიწის ნაკვეთის ან მასზე განთავსებული ან ასაშენებელი შენობა-ნაგებობის ან მისი ნაწილის მესაკუთრე, მოსარგებლე ან მის/მათ მიერ უფლებამოსილი პირი, რომელსაც აქვს ობიექტის სამშენებლო განვითარების ინტერესი. აღნიშნულის გათვალისწინებით, არქიტექტურული პროექტის შეთანხმების სტადიაზე მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანო არ იკვლევს სამშენებლო მიწის ნაკვეთზე საკუთრების/სარგებლობის უფლებას.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან სამსახურის 2023 წლის 15 აგვისტოს №6614830 ბრძანებით უკვე გასწორდა ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2022 წლის 19 მაისის №5919381 ბრძანებაში თანამესაკუთრეების მითითებასთან დაკავშირებით და ამასთან, სამსახურის მიერ დამკვეთის ცვლილება არ ხორციელდება არქიტექტურულ პროექტში სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა სამსახურის 2022 წლის 19 მაისის №5919381 ბრძანებაში ცვლილების შეტანასთან დაკავშირებით.
წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.